1

F567 ✓3402

იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!


საბჭოს ხმა

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-12 წელი

№ 24 (184)

დეკემბერი, 1967 წელი



გიორგი ლეონიძე

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ!

ჩემო სამშობლოვ, შენი მეკვლე ვარ,
— შემოვდგი ფეხი,
ვარ მომლოცველი,
თვითეულ მოძმის გადამკოცნელი!..
ხალხო ქართველო,
შენ გაიხარე,
ბედნიერების ვარ მომლოცველი!

ყოველი შენი ბუჩქი და ტოტი
მენახოს მზეში დამარჯნებული,
შენი მარჯვენა მინდვრად, დაზგასთან,
იყოს მარადის გამარჯვებული!

ხალხო, გიმრავლოს კერის აკვნები,
ხალხო, აივსე მიწის ბარაქით!
სულ მჩქეფარებდნენ დაუშრობელად
შენი რიონი, მტკვარი, არაგვი!

სამშობლოვ,
შენი კერის მეკვლე ვარ,
შენი ლამაზი მიწის მკოცნელი,
ათას ჩანგსა და ათას სიმებზე
ამოგაყღერო მინდა ოცნებით,

მაგრამ სიტყვები ვერ მიპოვნია,
ჰანგი, შენდამი ტრფობის მტყორცნელი!
ყოველდღე ჩემთვის ბედნიერების
და სიხარულის ხარ მომლოცველი!

მაკრძალის სსრ. სახ. საბჭოთა ბიბლიოთეკა

ᲓᲘᲓᲘ ᲛᲔᲙᲕᲚᲔ

ჩვენი მეკვლეა ხან რუსთაველი,
ხან ვაჟა, ხანაც — ბარათაშვილი,
რადგან სიმღერა საქართველოში
გვაქვს ალამივით მარად გაშლილი.

ისიც ხომ იდგა ხარაჩოებზე,
ისიც მამულის დარაჯად იდგა —
სვეტიცხოველის ჩუქურთმასავით
სხივჩაქარგული ქართული სიტყვა!

წელსაც, ახალწლის დღესასწაულზე
შემოაჭენებს ჭაბუკი მერანს,
თავს დაადგება სვეტი ნათლისა,
და მამულს ესვრის ცეცხლოვან მზერას:

„მრავალი წელი მორბის, მომაფრენს
შეუპოვარი მერანი ჩემი,
ერთნახევარი საუკუნეა,
და მაინც მარად ჭაბუკი ვრჩები.

გავკვეთე ქარი, გავაპე წყალი,
გადმოვიარე კლდენი და ღრენი,
და შემიმოკლა ზღვა სიხარულმა
მოუთმენელსა სავალნი დღენი.

მგოსნის ოცნების თეთრი ტაძარი,
რომ ვერა ვპოვე, ახლა იგება,
და ვინც პოეტის სიტყვას აფასებს,
მისი მზე მარად მაღლა იქნება.

არ შემიძლია არ მოგილოცო,
მამულო ჩემო, ახალი წელი!
ვხედავ, გაშლილა, აყვავებულა
შენთა ვნებათა ცხოველი ძელი.

ჩემი წელია, ვარ შენი მეკვლე...
მრავალ ახალ წელს — მთაში და ბარად!
„მრავალ ახალ წელს!“ — იტყვის ჭაბუკი
და ჩაიჭროლებს, ტიტანის დარად.

აკაკი გელოვანი.

ᲒᲔᲡᲛᲐᲡ ᲧᲘᲕᲘᲚᲘ!..

გამარჯობა, ძმაო ქართველო! მოგილოცავ ახალ წელს, თუ იმ ქვეყანაში ხარ, სადაც ჩვენებური კალენდარი გადის!

ახალ წელს თოვლი შვენის, მაგრამ თბილისში გაჭირდა თოვა. ერთი ფიფქი დასანახავად გვენატრება. თბილა. თქვენთან?

ძმაო-მეთქი, მარტოკას მოგმართავ, ისევ ის ეული მგონიხარ სხვის ქვეყანაში. შენ კი, იქნებ, ცოლიცა გყავს და შვილებიც. თუ ასეა, სალამი მათაც, და მადლობა იმ ქალს, ვინც გული გაგიხსნა, ადამიანური სითბოთი აგავსო, მეუღლეობა გაგიწია, შვილებიც შეგძინა, და შორს, მაგრამ ერი მაინც გამრავლებინა.

რა ენაზე ლაპარაკობენ შვილები? თავათ თუ გახსოვს დედა ენა? ამას იმიტომ გეკითხები, რომ დამლაპარაკებელი ოუ არა გყავს, უკვე თითქმის მეოთხედი საუკუნეა, მაშინ გაგიძნელდებოდა მშობლიური ენის შენარჩუნება. ღმერთი ნუ ინებებს ამას! ო, ჩემო ენავ, დედაო ენავ!... ხოლო თუ ენა შემოგრჩა, ნუ იზამ, რომ იგი შვილებს არ გადასცე, ცოდონი არიან ქართველნი უდედაენოდ.

იმ დღეს თბილისის მეტროში, სადგურ „რუსთაველში“ („ზემელი“ თუ გახსოვს, იმის ქვეშ) შევხვდი ერთ ნაცნობს, გვარად მინაშვილს, ბრაზილიიდან ამას წინათ ჩამოსულს. იქიდან ჩამოყოლილი ცოლი და ორი ვაჟი (შვილები მაგათ სხვაც ბევრი ჰყავთ) ახლდა. ისე კარგად ლაპარაკობდნენ, კაცო, ის ბიჭები ქართულად, სიხარულის კურცხალი დამდინდა.

ხომ არ ვიცნობთ, ნეტავ, მე და შენ ერთიმეორეს. გვარი და სახელი ჩემი აქ წერილს აწერია ქვეშ. ისე, იმ ხანებში, როცა, შესაძლოა, შენ ტყვედ იქმენ, მე კი ოცდაექვს-ოცდაშვიდი წლის კაცი ვიქნებოდი. მეტყვიამფრქვევე დეგტიაროვისა, ორი დისკოთი, გენახვება, უთუოდ, ასეთი ტყვიამფრქვევი. ახლა ჩემს ფრონტებს მოგაგონებ: — დასავლეთისა, ბრიანსკისა, კალინინისა, ლენინგრადისა, ბალტიისპირეთისა...

უფრო მოსალოდნელია, თუ იყავი დასავლეთის ფრონტზე, სადაც მეტი გასაჭირი გვადგა და დროდადრო მტრის გარემოცვაშიც კი ვყვებოდით, აი იქ მოგიხდა ის უბედურება. რას იზამ, ომის კანონს სადღა გავექცეოდით — ან უნდა დავჭრილიყავით, ან შოვმკვდარიყავით, ან კიდევ ტყვედ ჩავვარდნილიყავით, უკეთეს შემთხვევაში კი ბედს ჩვენთვის ერთიც აეშორებინა, მეორეცა და მესამეც.

მე, მაგალითად, შენს ადგილას, — მით უმეტეს თუ დაჭრილიც იყავი, ან სხვა რამ გამოუვალი მდგომარეობა გქონდა, — რაღას გავაწყობდი, რა ვიცი, მეც ჩავვარდებოდი ალბათ, რა უნდა მექნა, მაგალითად, შენზე მეტი! ხომ წარსული საქმეა — ვერავის ვერ მივცემ იმის გარანტიას, რომ არ ჩავვარდებოდი. მაგრამ ამის შემდეგ სამუდამოდ სხვის ქვეყანაში დავიდებდი სამკვიდრებელს-მეთქი, ამას, სინდისს ვფიცავ, არავითარ შემთხვევაში არ გავაკეთებდი, იქ თუნდაც ოქროს კოშკიც აეგოთ!... ერთი კაცი არასოდეს არ იქნება ბედნიერი, როგორც არასოდეს არ გაიდება ხიდი მდინარის მარტო ცალ ნაპირზე. მე იქ თუნდაც განცხრომაში მეცხოვრა და აქ ჩემიანები ჩემზე დარდით მეტირებინა, ჩემს მიწას მონატრებულს მევლო?!

მახსოვს (იქნებ შენც გახსოვს) დასავლეთის ფრონტი. სმოლენსკის მიმართულება. ტყვიებითა და ყუმბარებით დაცხრილული, დაფლეთილი ნაძვისა და არყის ხის ტყეები. ვარშავის გზატკეცილი.

მაშინ პირობა დავდეთ რამდენიმე ქართველმა: — გამარჯვების შემდეგ სამშობლოში დაბრუნებულნი, მატარებლიდან ჩამოსვლისთანავე, დავემხობოდით და მშობლიურ მიწას ვეამბორებოდით. ორს გვხვდა ბედნიერება ეს პირობა შეგვესრულებინა.

ახლა შენ რათ გინდა ჩემი ფილოსოფიური მსჯელობანი: დავგიბრუნდები. ძმაო, ცოლშვილით, ხომ შენც გაიხარებ და ჩვენც გაგვახარებ, არა და, სადაცა ხარ, იქ იყავ კარგად. ნურავის ჰგონია, ქართველს სხვაგან არ შეეძლოს კეთილი საქმის ქმნა. პატიოსნება, გულმართლობა, გამტანობა, წესიერი შვილების აღზრდა — ეს ყოველივე ხომ თავისთავად ერის საკეთილო საქმედ ჩაითვლება.

მაგრამ ისე როგორ წაგივა, ძმობილო, საქმე, ერთი თვალი არ შეავლო შენს სამშობლოს!... გესმას ყივილი მშობელი მიწისა!

ვლადიმერ თოდრუა.

ალარიკ ჯეიკობი
პოლ ჰოგარტი

საქართველო

ქართველები ძალიან ამაყობენ თავიანთი ეროვნული პოეტით რუსთაველით. ერთხელ თბილისის უნივერსიტეტის პროფესორმა მითხრა: „ჩვენზე ამბობენ, რომ ჩვენი რუსთაველით ტრაბახი გვიყვარს, მაგრამ, მთელი ხმით რომ არ გავყვიროდეთ მის შესახებ, ვინ დაგვიჯერებდა? მისი თარგმნა შეუძლებელია. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ იგი შეიძლება გვერდში ამოუყენო შექსპირს“.

თბილისში ჩვენ გავიცანით ხანში შესული ამერიკელი პოეტი სტენლი კიუნიცი. იგი საბჭოთა კავშირში მოგზაურობდა და სხვადასხვა ქალაქში კითხულობდა თავის საკუთარ ლექსებსა და პასტერნაკისა და ვოზნესენსკის თარგმანებს. თბილისის უნივერსიტეტში მის მოსასმენად შეიკრიბა 400 სტუდენტი, რომლებიც ინგლისურ ენას სწავლობენ, და ისინი დიდხანს ფეხზე ამდგარნი უკრავდნენ მას ტაშს. კიუნიცთან და ქართველ პოეტ ნონეშვილთან ერთად ვიმგზავრეთ პატარა ქალაქ სიღნაღში, კახეთში, სადაც ნონეშვილი ის იყო აერჩიათ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ცოტა ვინმეს თუ შეუძლია დაიკვეხნოს ასეთი ლამაზი საარჩევნო ოლქი. ქალაქი მაღლა მთაზე დგას, ფართო ველს დაჰყურებს, ჰორიზონტზე კი, თითქოს ღრუბლებიაო, თეთრად ელვარებენ კავკასიონის ქედის მწვერვალები, სადამდეც აქედან 60 კილომეტრია. დაბლობი ვენახებშია ჩაფლული, და როცა იქ ჩავედით, რომ ერთ-ერთ კოლმეურნეობაში გვესადილა, გაგვიმასპინძლდნენ ღვინით, რომელიც სარდაფში უზარმაზარი კასრიდან ჩამოგვისხეს. ვსვამდით ხის თასებით, და ჩვენი ღრეობა მრავალი სადღეგრძელოთი ჭეშმარიტად ჰომეროსულ ხასიათს ატარებდა. ქართულ ღვინოებსა და კონიაკებზე მოთხოვნილება კოლოსალურია არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც, და კოლმეურნენი, რომლებთანაც ჩვენ სტუმრად ვიყავით, უკვე ძალიან შეძლებული არიან, ხოლო მალე უთუოდ მდიდარი გახდებიან. მათს კლუბში კარგად მოწყობილი თეატრია, ხოლო კლუბის მომჯობინავე საფეხბურთო მოედანზე გამოველაპარაკე პატარა ბიჭებს, რომლებსაც ტელევიზორში ენახათ საერთაშორისო თასის გათამაშების მატჩები, ინგლისიდან რომ გადმოიცემოდა, და თავიანთ გუნდებისათვის ინგლისელი ფეხბურთელების ბობი ჩარლტონისა და მურის სახელი ეწოდებინათ.

მე და პოლს ძალიან შეგვიყვარდა თბილისი. მცხუნვარე მზით განათებულ რუსთაველის ბულვარზე რომ ვსეირნობდით, ან მტკვრის პირას ძველებურ შენობებს რომ ვთვალიერებდით, უნებურად ვადარებდით ამ ქალაქს ბუქარესტს ან სოფიას. მაგრამ მაშინვე ვგრძნობდით, რომ ეს შედარება შეუფერებელია. საქართველო არც ერთ ქვეყანას არა ჰგავს. მის მხიარულ, ხალისიან მცხოვრებთ, მართალია, შეიძლება საბჭოთა კავშირის „გასკონელები“ ვუწოდოთ, მაგრამ ისინი ვერ ითმენენ ვერავითარ კომპრომისს ვერაფერში, რაც მათს ეროვნულ თვითმყოფობას ეხება, და ულმობელი პატივისცემით ეკიდებიან მეცნიერებასა და ხელოვნებას. მე გავიცანი სტუდენტი-ფილოლოგი, რომელიც თავისუფალ დროს ქართულ ენაზე თარგმნის ჯეიმს ჯოისის უზარმაზარ შრომას „ულისს“. ვკითხე, რამდენი დრო დასჭირდება ამას. „ალბათ ხუთიოდე წელი, — მიპასუხა მან. — მაგრამ თუ ჩემი სიცოცხლის რაღაც ნაწილს მოვახმარ იმას, რომ ეს რთული ნაწარმოები ჩვენი ხალხისათვის მისაწვდომი გავხადო, იქნებ როდისმე რომელიმე გენიალურმა ირლანდიელმა რუსთაველი ალმოაჩინოს ინგლისურად მოლაპარაკე ადამიანებისათვის. ამის გაკეთება შეიძლება. ნახეთ, როგორ თარგმნა ინგლისურ ენაზე ფიტცჯერალდმა ომარ ხაიამი“.

---

* ნაწყვეტი წიგნიდან, რომელიც დასაბეჭდად მზადდება ლონდონში, ნიუ-იორკსა და პარიზში ა. ჯეიკობის ტექსტით და პოლ ჰოგარტის ილუსტრაციებით.

ამერიკაში აღმოჩენილი ქართული სიმღერები

ქართული ხალხური პოეზიის მრავალმხრივ ფოლკლორიზმის ფონდები დღითიდღე ივსება. სამეცნიერო ექსპედიციების ჩანაწერების უხვად ემატება ძველი და ახალი კოლექციები, არქივებსა და მუზეუმებში დაცული ტექსტები, ადგილებზე მომუშავე ფოლკლორისტ-ენთუზიასტთა შემოწირულებანი, დაკვირვებები, ტრადიციულ ნაწარმოებთა ზეპირ-ბერუნვაში გამოკვლევის აღწერილობანი, ვარიანტები. მიახლოებითი გაანგარიშებით რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის ფოლკლორის განყოფილებას ამჟამად მილიონზე მეტი ერთეული მოეპოვება. ღრმადფესვი მხატვრული საუნჯის შესწავლის საფუძველზე მზადდება მრავალტომეულის ყანრობრივი ანთოლოგიები. საგანგებო სამუშაოები უკვე მთავრდება მითოლოგიური, საწესჩვეულებო, საგმირო, საისტორიო, სატრფიალო, საყოფიერო, შრომის და თამაშობრივი პოეზიის კრებულებზე. აქედმდინარე გამოკვლევის თვითეული ტომი ძირითადი ტექსტების გარდა მოიცავს ჟანრობრივ გამოკვლევას, ისტორიულ-ფოლკლორისტულ და ფილოლოგიურ შენიშვნებს, ვარიანტებს, ბიბლიოგრაფიას, დიალექტოლოგიურ ლექსიკონს, ინდექსებს.

ამ ტიპის გამოცემა ქართულ ენაზე პირველად ხორციელდება. ცხადია, ამ ვითარებაში ყოველ ახალ ჩანაწერს, ცნობას, აღწერილობას, მითითებას მრავალტომეულის შემდგენლები დიდი ყურადღებით იქცევენ და მადლობით იხსენებენ მათს ავტორებს ლექსებზე დართულ ფართო ხასიათის კომენტარებში.

ხალხური პოეზიის მრავალტომეულში შემოსული სპეციალისტები ითვალისწინებენ არა მარტო საქართველოსა და საბჭოთა კავშირში მოპოვებულ ან დაცულ ფოლკლორულ მასალებს, არამედ იმ დიდძალ ნაბეჭდ თუ გამოუქვეყნებელ ჩანაწერებს, რომლებიც მე-19 და მე-20 საუკუნეების განმავლობაში საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა მიერ იყო შესრულებული. ამ ჯგუფის მასალებს მიეკუთვნება პროფ. დიმიტრი ლენგის მიერ შეკრებილი „რაჭული სიმღერები“, რომლებიც პირადად მიგიღით ლონდონიდან 1965 წლის დეკემბერში პატივცემული მეცნიერისაგან. რადგან რაჭული ლექსი-სიმღერების ცალკე კრებული არ არსებობს, ხოლო ეს ხელნაწერი მოკლეობით აღიმატება აქამდე სხვადასხვა ადგილას დაბეჭდილ ნიმუშებს, სასურველად მიგვაჩნია წინასწარი ცნობები მივაწოდოთ მკითხველებს ახალ კოლექციაში წარმოდგენილ ლექსებზე, მათი ტრადიციულობის თუ ვარიანტულობის თვალსაზრისით.

„რაჭული სიმღერები“ 16 ხალხურ ლექსს შეიცავს. ჩაწერილია ორთოგრაფიულად 1952–1953 წ.წ. ნიუ-იორკში რაჭელი ქალის თქმით. ლექსების უმრავლესობას თან ახლავს შემკრების ზუსტი ინგლისური პწკარედი, სიტყვა-სიტყვით თარგმანი. „საინტერესო თუ არიასო“, მეკითხება ბატონი დიდიდი. დიახ! მეტად საინტერესოა. ვეცდებით ჩვენ. გამოგზავნილი ტექსტები, სხვა რომ არა იყოს, თავის ადგილს დაიჭერს რაჭული ტომობრივი ფოლკლორის შესწავლაში მარტო იმის გამო, რომ ისინი შეკრებილია საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს შორის, რომლებსაც ჯერ კიდევ შერჩენიათ ტრადიციული რეპერტუარი და ამ უცანაურ ნელის შენარჩუნების ცდილობენ. ეს სწორედ რომ მისაბაძი მაგალითია. აქამდე ვიცოდით, რომ ქართული ზეპირ-სიტყვიერების ნიმუშების მთქმელ-შემსრულებლები მოიპოვებოდნენ ირანში, თურქეთში, ისრაელში, ეგვიპტეში, საბერძნეთში, რუმინეთში, საფრანგეთში, გერმანიაში, ავსტრიასა და ალჟირში. აღნიშნულ ქვეყნებს ახლა ამერიკაც დაემატა. მაშასადამე, ქართველოლოგიურ კვლევათა ფარგლები ფართოვდება და მნიშვნელოვანი სამეცნიერო მიზნებიც ჩნდება.

მოწოდებული 16 ლექსი ჟანრობრივად არ არის ერთგვაროვანი. საკულტო-მითოლოგიურ ნიმუშებთან ერთად აქ გვხვდება ისტორიული, საყოფიერო, საქორწილო და სატრფიალო ლექსები. მათი ცხრა მეათედი ამჟამადაც დასტურდება რაჭის სინამდვილეში. ფოლკლორის განყოფილების არქივში დაცულია მათი რამდენიმე ათეული ვარიანტი, სულ უახლესი, 60-იანი წლების ჩანაწერები, ექსპედიციებისაგან შესრულებული.

ჩვენ ლენგისეული ჩანაწერები შევადარეთ როგორც გამოუქვეყნებელ, ისე უკვე დიდი ხნის წინათ დაბეჭდილ ვარიანტებს და მათ შორის დიდი მსგავსება დავადასტურეთ. ქვემოთ წარმოდგენილი მოკლე ცნობები აჩვენებს, რომ „რაჭული სიმღერების“ უმრავლესობა რეგიონალიზმამდელ შემკრებობითი ფოლკლორისტიკაშიც იყო ცნობილი. შედარებამ ისიც აჩვენა, რომ ლენგისეული ნიმუშებს გარკვეული სხვაობაც შეიმჩნევა, განსაკუთრებით სამეურნეო სფეროსთან ლექსების ტრადიციული წყობისა და სტრუქტურის თვალსაზრისით. მაგალითად, ამერიკული კოლექციის „ლაშქრული–საფერხულო“, მიუხედავად მისი ვარიანტების სიხშირისა, არც ერთ ადრინდელ ჩანაწერს, თუნდაც პ. უმიკაშვილისეულს (ხალხური სიტყვიერება, ტ. I, 1964, გვ. 354) ბოლომდე არ ემთხვევა და შედარებით სრული სახით წარმოგვიდგენს საფერხულო შესრულების წესებს. ეს უკანასკნელი კლასიკური სახით შემონახულია მთის რაჭის მკვრივაოინში და პოეტიკურად ხიაზმური ლექსის ნიმუშსაც გვაძლევს, მსგავსად ამირანის და ქალღმერთ დალის ჟძველესი საფერხულო ბალადებისა. შეიძლება ისიც ვივარაუდოთ, რომ ლექსის ინფორმატორი უშუალოდ ზემოხსენებული თუ არ არის, ამ თავისებური კუთხის სიტყვიერების მშვენიერი მცოდნე მაინც არის.

ახლა გავეცნოთ აღნიშნულ ლექსებს და მათ ადრინდელ ჩანაწერებს.

1. „ლაშქრული–საფერხულო“ 68 ათმარცვლოვანი ტაეპისაგან შედგება, ტაეპიური საგუნდო შესრულების ნაწარმოებია და დაბეჭდილიც ზმრად გვხვდება პ. უმიკაშვილის, ე. თაყაიშვილის, ვ. კოტეტიშვილის, „სახალხო მთქმელების“ ცნობილ ანთოლოგიებში. ადრეული 1894 წელს თბილისში გამოცემულ „სპორნიკ მატერიალოვის“ მე-19 ტომში (მინდელის ჩაწერილი).

რაჭა საერთოდ ცნობილია თავისი საფერხულო ლექსი-სიმღერებით, რომლებსაც ალ. ვეისენშტეინი პოეტიკური შემოქმედების ჟძველეს ნიმუშებად მიიჩნევდა. დღემდე ყველა ასეთი ლექსი-სიმღერა ფერხულის ანუ ფერხისის დროს წარმოითქმის. ფერხულის დაბმა რაჭველებმა ასე იციან: სადღესასწაულოდ შეკრებილთაგან გამოიყოფა რამდენიმე საუკეთესო მომღერალ-მოცეკვავე მამაკაცი. ისინი ერთმანეთს ჩამრებში ჩაჰკიდებენ ხელს (თუ მოთამაშეს ქამარი არა აქვს, ხელს კისერზე გადახვევენ). იქმნება საფერხულო ჯაჭვი, წრე, რომელშიც ჩაბმულთა რიცხვი განსაზღვრული არ არის. იქვე დგება მეორე მოფერხულე გუნდი ქალების ან მამაკაცების მონაწილეობით. ლაშქრო სიმღერა. საფერხულო ლექსის დასაწყისში ვკითხულობთ:

მაღლა მთას მოდგა,
მაღლა მთას მოდგა!
მაღლა მთას მოდგა
უცხო ფრინველი;
უცხო ფრინველი —
თეთრი ფრთიანი;
თეთრი ფრთიანი,
ბოლო წითელი...

სალაშქროო რომ ვამბობთ, ეს უკვე ჟანრთან ერთად გარკვეული შინაარსზეც მიუთითებს. იგი მთის ტომების — რაჭველების, სვანებისა და ოსი-დვალების ფეოდალიზმის დროინდელ ურთიერთობას ასახავს. ლექსი კონტამინირებულია. მასში ორი ლაშქრობის ამბავია გაერთიანებული. ერთი ჩრდ. კავკასიელია, ფაიმომელი დვალების მთის რაჭაზე თავდასხმის ამბავს გადმოსცემს, მეორე კი რაჭის ფეოდალის ჯაფარიძის სვანებისაგან მოკვლასა და რაინის სათავეების დალაშქრვას გვაცნობს. ეს უკანასკნელი მოჰყვა თორმეტ, რომლის დროსაც „სრულიად სვანეთის ქვეყანასა საზიარებელს ვეღარ ვიშოვიდით (ღვინოს) და არცა ვის მარილის გემო გვინახავს“. ორი კუთხის მიტოქინების მეფის ჩარევამ უშველა მხოლოდ. სვანებმა ხელი აიღეს მთის რაჭის ტერიტორიაზე და სისხლის გამოსასყიდიც დიდი გადაიხადეს.

სახალხო მგოსნის გამოთქმები „ისართ ხიველი“, „ხმალი ორპირი“ და სხვა აქსიქსუარები მიუთითებს, რომ ლექსი ძველია და შორეულ ისტორიულ ამბავს ასახავს.

2. მეორე ლექსიც ისტორიული ხასიათისაა: **„ოსების თავდასხმა გაგნიძის ციხეზე“** (ამ გრიგოლუამ და ბეგმიამ ერთმანეთს მისცეს მხარია). იგი მიწევს მინდელის მიერ რუსულად „მასალათა კრებულში“ გამოქვეყნებულ ვარიანტს, თუმცა მისგან განსხვავებით ორიოდე ახალ ტაეპს შეიცავს („მყივარი ჭრონდა ჭმანია“).

3. **„პირველ საყმოვნი ვყოფილ-ვართ“** ფოლკლორისტულ ლიტერატურაში „თავად არეშიძეთა ამოწყვეტის“ სახელით ცნობილი პოემას წარმოადგენს. პირველად იგი გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნდა 1890 წელს და აქამდე არსებული ყველა პუბლიკაცია მას ემყარება. დ. ლენგის კოლექციაში შესული ინგლისურ პწკარედთანული ლექსი პროფესორ ს. მაკალათიას „მთის რაჭიდან“ მომდინარეობს.

4. „ჯალი ლამაზი“ სატრფიალო შინაარსისაა და სიმოკლის გამო მისი ამოწერაც შეიძლება:

მაღლა ქვიტკირის ჩარდახსა
ქალსა ეძინა ლამაზსა,
მივედი, ფრთხილად ავწიე
ღუნღულა ყუთნის საბანსა.
თავს დაბაროდნენ ვარსკვლავნი,
მთვარე აყრიდა შაქარსა.
„მთვარეც, ნუ აყრი შაქარსა,
არავინ მოგცემს მაგ ქალსა“.

ბოლო სტროფი დამოუკიდებლადაც არის გავრცელებული.

5. „ზეცას ვიყავ, ზეცა ვნახე“ მითოლოგიური შინაარსისაა და ადრინდელი ჩანაწერებითაც კარგად არის ცნობილი.

6. „შრომანას“ სათაურით წარმოდგენილი ლექსი ზოგჯერ „შრუშანას“ ზედწოდებითაც გვხვდება (აფრ. ჯაფარიძის და დ. არაყიშვილის ჩანაწერები). ლენგისეული ხელნაწერი მისდევს „მასალათა კრებულში“ გამოქვეყნებულ ტექსტს, სათაურის მხრივ ემთხვევა პ. მირიანაშვილისეულ 1888 წლის ჩანაწერს. არსებობს უფრო ადრინდელი, 1871 წელს მოპოვებული ვარიანტიც. ლექსის ერთი სრული ვარიანტი დაბეჭდილია ილ. ვარსალაძის „ქართულ სამონადირო ეპოსში“ (1964 წ.).


7. „რაეო“ დღემდე პოპულარულ სიმღერად ითვლება საქართველოში („რაეო, ჩემო დედაო, რაეო?). მისი უახლესი ჩანაწერები დაცულია ფოლკლორულ არქივში. განმარტებას ითხოვს სათაური: რას ნიშნავს „რაეო?“ პროფ. დ. ლენგი დაფიქრებულა ამის გამო (რაო? რაეო?). დასაშვებია, ქედდის სახელთან არ გვქონდეს საქმე. სასიმღერო ლექსი მომართვით იწყება და ინტონაციურად კითხვით მთავრდება (რაეო?). მაშასადამე, დედისადან პასუხს, განმარტებას, ახსნას მოითხოვენ. მსგავსი სტრუქტურის ლექსები ხშირია ხალხურ პოეზიაში. კლასიკურია ამ მხრივ სამგლოვიარო-ელეგიური „სიზმარი“, სადაც პასუხს შვილი ითხოვს: „წუხელი სიზმარი ვნახე, ნეტავ, დედავ, რაო?“. „რაეო“, ამნაირად, შეკუმშული ფორმაა კითხვითი წინადადებისა: „რა არის ეს?“, „რას ნიშნავს ეს?“ „ო“ — ფორმანტი კი სხვათა სიტყვის მაჩვენებელია.

8. „დალეი“, როგორც ჩამწერი შენიშნავს, სუფრული ნიმუშია. ისიც ხშირად გვხვდება საგუნდო რეპერტუარში, მის საყოველთაო გავრცელებაზე რომ არაფერი ვთქვათ.

9. „მაყრული“ ქვემორაჭული სიმღერაა (ორი-ოხო და, ქალი მოგვყავს ლამაზი, დაგვიცალეთ დარბაზი), სრულდება გუნდურად ქორწილის დროს. აქ წმინდა მაყრულ-მგზავრული ლექსში თამადის დალოცვის სტროფიც არის შეჩრილი („ყანწი ვიკიდე ხელსა, მეფიქრა, ომერთმა ჯადოქარძელოს, დედოფალო შენცა, პირველ ვაჟი შეგეძენოდეთ, მოგველოცოს ჩვენცა“).

10. „ოჯი ღეგელებსა და სვანებს ჰორის“ (სვანსა ჯამათს ამბობენ) საგმირო-ისტორიული ნაწარმოებია. ლექსი 1886 წელს განიხილა ენთოგრაფმა ბეს. ნიკოლაძემ (თავის სუფთა სვანი) და მისი ლეგენდითი თარიღიც დასდო (1815–25 წ.წ.). ვარიანტები დაბეჭდილია

(დასასრული მე-6 გვერდზე).



ჭაშნიკი. მხატვარი რ. კეჭალმაძე.

ისტორიის უცნობი ფურცლები

მეთვრამეტე საუკუნის ოთხმოციან წლებში საქართველო-ეგვიპტის ურთიერთობის ისტორიის ახალი მასალები გამოაქვეყნა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ვ. მაჭარაძემ.

მოსკოვის უძველესი აქტების ცენტრალურ სახელმწიფო არქივში მეცნიერმა აღმოაჩინა ეგვიპტეში ნამყოფი მიხეილ კაჭკაჭიშვილის მოხსენებები თავად პოტიომკინისადმი და ეგვიპტელი ბეგების წერილები მეფე ერეკლე მეორისადმი, რომლებშიც მოთხრობილია აღმოსავლეთ საქართველოსა და ეგვიპტის ურთიერთობაზე.

ქართული არტილერიის პორუჩიკი მიხეილ კაჭკაჭიშვილი 1786 წლის ზაფხულის დასლევს ეგვიპტეში წავიდა თავის ბიძის სანახავად. მას ჰქონდა ერეკლე მეფის სარეკომენდაციო წერილები მცირაბარი ეგვიპტელი ბეგებისადმი და ქართველი ოფიცერი დაუკავშირდა მათ. ვითარება ისეთი შეიქმნა, რომ პორუჩიკი ეგვიპტეში ერთ წელს დარჩა. მის ცნობებს, როგორც მხახველისას, რომელიც ბეგების დიდი ნდობით სარგებლობდა, დიდი მნიშვნელობა აქვს ეგვიპტის განმთავისუფლებელი მოძრაობის ისტორიის ამ პერიოდის გამოკვლევის საქმეში.

საინტერესოა ვ. მაჭარაძის შრომაში მოყვანილი იბრეიმ ბეგის (აბრამ შინჯიკაშვილის) და სულეიმან აღა ანაფიას წერილები ერეკლე მეორისადმი. თუმცა ამ წერილებს გარეგნულად უაღრესად კერძო ხასიათი აქვთ, მაგრამ ისინი მოწმობენ ერეკლე მეფისა და ეგვიპტელი ბეგების ახლო ურთიერთობას და მათ დიდი ხნის მიმოწერას. ისინი გვიჩვენებენ, რომ ეგვიპტელი ბეგები გამოსყიდვის საშუალებით მონობიდან ათავისუფლებდნენ ქართველებს, აძლევდნენ მათ გასაშვებ სიგელებს, ფულს და გზავნიდნენ სამშობლოში, საქართველოს უგზავნიდნენ ფულს ეკლესიების ასაშენებლად.

ინდუსტრიის ახალი სიძლიერეები

მეტეხის საშენ მასალათა კომბინატში ამუშავდა თეძამიტის (კერამზიტის) ქარხანა. მისი სიმძლავრეა 100 ათასი კუბური მეტრი წელიწადში.

ახალ საშენ მასალას იყენებენ ქვიშისა და ღორღის ნაცვლად, როგორც ბეტონის მსუბუქ შემვსებს. თეძამიტის გამოყენებით ბეტონი იძენს უკეთეს თერმოსაიზოლაციო თვისებებს, რაც ფართო გამოყენებას უქადის მას რესპუბლიკის სამშენებლო მოედნებზე.

მთავრდება ჭოროხის ინერტული მასალების ქარხნის მშენებლობა, რომლის სიმძლავრე იქნება 400 ათასი კუბური მეტრი წელიწადში. ეს ქარხანა ჩვეულებრივი როდი იქნება. ნედლეულს ქვიშისა და ღორღის წარმოებისათვის ამოიღებენ მდინარე ჭოროხის ფსკერიდან მიწასაწოვი მანქანების საშუალებით. შემდეგ სპეციალური დანადგარებით ქვიშა გამოეცალა ღორღს, ღორღი დაიმსხვრევა, გამდიდრდება და დახარისხდება ფრაქციების მიხედვით.

გაჩაღებულია რუსთავის ქარხნის მშენებლობა გარდაბანში, რომელიც გამოუშვებს 125 მილიონ ქვადრატულ მეტრ რბილ სახურავსა და 50 ათას ტონაზე მეტ მუყაოს წელიწადში. უკვე 1970 წელს საწარმო ჩადგება მწყობრში. მისი პროდუქცია გაიგზავნება საქართველოს, სომხეთის, აზერბაიჯანსა და ჩრდილოეთ კავკასიის მშენებლობებს.

ახალ საწარმოთა მშენებლობასთან ერთად საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის სამინისტრო აწარმოებს მოქმედ საწარმოთა რეკონსტრუქციას. მაგალითად, სახეს შეიცვლის თელავის ფიქალ-მარმარილოს კომბინატი. რეკონსტრუქციის შემდეგ საწარმოს სიმძლავრე ერთიორად გაიზრდება. ყოველწლიურად კომბინატი გამოუშვებს 20 ათას ქვადრატულ მეტრამდე ქართულ მარმარილოს ჩვენი ქვეყნის მშენებლობათა საჭიროებისათვის.

ჭაღარა პიტიუსის სიჭაბუკე

ბიჭვინთის კონცხი — ასეთი კუთხე ბევრი როდია დედამიწაზე, სადაც რელიეფური ნაძვის კორომი გადაჭიმულა ზედ ზღვის პირას. ჩინებული ნატურაა პეიზაჟებისათვის, მაგრამ კიდევ უფრო უკეთესი ადგილია დასვენებისათვის.

ამიტომ ბუნებრივია, რომ როცა ბიჭვინთის კონცხზე საზღვაო კურორტის მშენებლობის იდეა წამოიჭრა, არქიტექტორების ფანტაზიას ფართო სარბიელი მიეცა.

ახლა უკვე საჭირო აღარ არის პროექტზე ლაპარაკი. კურორტი რეალურად არსებობს. ბიჭვინთის კონცხზე აღიმართა მზით გაკაშკაშებული შვიდი ქოთქოთა კორპუსი. ნაპირის გაყოლებით ჩამწკრივებულმა მაღლივმა შენობებმა თითქოს სიცოცხლე შთაბერეს ამ განუმეორებელ ლანდშაფტ-ზურმუხტა პეიზაჟს.

ბიჭვინთის კონცხზე მრავალი საუკუნის წინათ არსებობდა ქალაქი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ექსპედიციამ დაადასტურა ანტიკური მწერლის არტემიდორის ცნობა, რომ არსებობდა უძველესი ქალაქი „დიდი პიტიუსი“. დაახლოებით ხუთ ჰექტარ ნაკვეთზე მიწის საფარი რომ აიღეს, არქეოლოგებმა აღმოაჩინეს უძველესი აკროპოლის ქვის კედლებისა და კოშკების, საცხოვრებელ, კულტურულ და სამეურნეო ნაგებობათა ნანგრევები. ნანგრევებს შორის ნაპოვნია დიდძალი კერამიკა, საოჯახო ნივთები, რომაული და ბიზანტიური მონეტები. ქალაქის ტერიტორიაზე აღმოჩენილია რამდენიმე ტაძრის ნაშთები. ეს ძეგლები, როგორც არქეოლოგ ა. აფაქიძესა და არქიტექტორ ი. ციციშვილს მიაჩნიათ, აგებულია ახალი ერის IV-V საუკუნეებში.

და სანამ არქეოლოგები გამოიცნობდნენ საუკუნეთა საიდუმლოებას, მშენებლები უძველესი პიტიუსის ნანგრევებზე აგებდნენ ჯანმრთელობის კერებს.

თუმცა კორპუსები ერთმანეთს ჰგავს, ერთმანეთში მაინც ვერ აურევთ არა მარტო იმიტომ, რომ თითოეულს თავისი სახელწოდება აქვს: „ბიჭვინთა“, „ბზიფი“, „ოქროს საწმისი“, „კოლხეთი“, „ამრა“ (რაც აფხაზურად ნიშნავს მზეს), „შუქურა“, „ოვერია“. დიდი მუშაობა შეასრულა საქართველოს დამსახურებულმა მხატვარმა ზ. წერეთელმა. ზურაბ წერეთელი 33 წლისაა, მაგრამ მას მდიდარი შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. სწორედ მან გაიფორმა საქართველოს სსრ პავილიონი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაზე, კურსკის მოედანი მოსკოვში, იგი სხვა საინტერესო ნაშრომების ავტორიც არის.

ყოველი კორპუსი მხატვარმა დაამშვენა მოზაიკური პანოთი, რომელიც შეესაბამება პანსიონატის პოეტურ სახელწოდებას და ასახავს ძველებურ ეროვნულ სიუჟეტებს.

ბიჭვინთა სათვალავით მეთორმეტე საზღვაო კურორტია საქართველოში. განვითარდება თუ არა მომავალშიც რესპუბლიკის საკურორტო მშენებლობა? ამ შეკითხვაზე საქართველოს სახმშენის თავმჯდომარემ ო. თუხარელმა გვითხრა:

— ბიჭვინთამ ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ საჭიროა ვაშენოთ საკურორტო კომპლექსები 2,5-3 ათასი კაცისათვის. ისინი ყველაზე რენტაბელური და ეკონომიურია და სწრაფად ანაზღაურებენ გაწეულ ხარჯებს. ჩვენ გათვალისწინებული გვაქვს კიდევ ერთი ასეთი კურორტი — ქობულეთი (როგორც ცნობილია, გაგრაში უკვე წარმოებს რეკონსტრუქცია). ქობულეთში ჩინებული ჰავაა, განსაკუთრებით გულით ავადმყოფებისათვის. მომავალში საკურორტო კომპლექსები აღიმართება მთელ ჩვენს სანაპიროზე — ბათუმიდან ლესელიძემდე.

ქართული ნოველის დიდოსტატი

შიო არაგვისპირელის დაბადების 100 წლისთავი



გასული საუკუნის მიწურულში ქართულ მწერლობას მოევლინა იშვიათი ნიჭით დაჯილდოებული მწერალი-ნოველისტი შიო არაგვისპირელი, რომელმაც თავისი ფსიქოლოგიური ეტიუდებითა და ცხოვრებისეული ნოველებით მიიპყრო ქართველი მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

შიო არაგვისპირელის შესახებ აკაკი წერდა: „ადრეც მითქვამს და ახლაც ვიმეორებ, რომ ახალ მწერლობაში ყველაზე უფრო საყურადღებოა არაგვისპირელი მისი ფსიქოლოგიური ეტიუდებით. მისი ზეგავლენითა და მიმბაძველობით ბევრი წერს. თითქმის სკოლა შექმნა“.

მწერალი დაიბადა 1867 წლის 16 დეკემბერს დუშეთის მაზრის სოფელ ქაისხევში — ღარიბი სოფლის მღვდლის ზაქარია დედაბრიშვილის ოჯახში. შიოს მამას ზაქარიას რვა შვილი ჰყავდა და ძალზე ხელმოკლედ ცხოვრობდა; მიუხედავად ამისა, პატარა შიო 8 წლისა შეიქნა თუ არა, უფროს ძმასთან ერთად დუშეთის სასულიერო სასწავლებელში მიაბარა. სჯობს თვით შიოს მოვუსმინოთ თავისი ბავშვობის შესახებ. აი რას გვიამბობს იგი (იმ ავტობიოგრაფიულ ნაწყვეტში, რომელიც დაცულია ლიტერატურული მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში): „დუშეთის მაზრაში, ანანურის ახლოს ს. ქაისხევი, თავისი მთიანი ადგილებით, არის ჩემი სამშობლო. მამაჩემი იყო მაშინ მღვდლად; ღარიბი მღვდელი, რომელიც ერთი მრევლიდან მეორეში ემწესება, რასაკვირველია, განსაკუთრებით შვილებს ვერ აღზრდის, მე მეექვსე შვილი ვიყავი, მაშასადამე, ჩემზე უფროსები და მეც ისე ვიზრდებოდით, როგორც იმისი მრევლის შვილები და იმათთან ერთად, ექვს წლამდე დავრჩი ამ სოფელში და მახსოვს ბევრი რამ, უპირველეს ყოვლისა პაპა მახარე... ეხლაც თვალწინ წარმომიდგება ხოლმე, — მერე რა ტკბილად მიამბობდა სხვადასხვა ამბებს იმისი საფუტკრის თაფლის უტკბესად... ამ დროს ჩემი მსოფლმხედველობა ძალიან მარტივი იყო... ხეს, ქვას, ბალახს, პირუტყვს თუ მეტყველს ერთი თვალსაზრისით ვუცქერდი, იმათ, როგორც მე, ტანჯვაც შეეძლოთ და სიმხიარულეც...

მამა წილკანში გაამწესეს მღვდლად და ჩვენც თან წაგვიყვანა. აქ თუმცა საკუთარი ორი ოთახი გვქონდა, მაგრამ მამამ ვეღარ მოასწრო რისამე მიმატება... გარდაიცვალა და დატოვა რვა შვილი.

ჯერ მამის სიცოცხლეში გაჭირვებას განვიცდიდით და, აბა, ამის შემდეგ რა იქნებოდა“.

მამის გარდაცვალების შემდეგ, 10 წლის შიო დედას შეჰყავს თბილისის სასულიერო სასწავლებელში, სახელმწიფო ხარჯზე, რომელსაც ნიჭიერი ბავშვი წარმატებით ამთავრებს. 1883 წელს და იმავე წელს შედის თბილისის სასულიერო სემინარიაში.

შიო სემინარიაშივე იწყებს შემოქმედებით მუშაობას. ამავე დროს აქტიურად მონაწილეობს სემინარიაში არსებულ მოსწავლეთა საიდუმლო რევოლუციურ წრეში, რის გამო იგი პანსიონიდან გარიცხეს და კერძო გაკვეთილებით ირჩენდა თავს და თუ სემინარიიდან გარიცხვას გადაურჩა, ამაში დიდ დამსახურებას შიო ვასილ ბარნოვს მიაწერს. იგი თავდებად დასდგომია მას და ნიჭიერი მოსწავლე სემინარიაში დაუტოვებიათ „განსაკუთრებული მეთვალყურეობის ქვეშ“.

შიო არაგვისპირელი წარჩინებით ამთავრებს სემინარიას 1889 წელს და მუშაობას იწყებს რკინგზის კანტორაში (რადგან მღვდლად არ სურდა წასვლა), ხოლო 1890 წელს კი ამხანაგების დახმარებით მიემგზავრება პოლონეთში და შედის ვარშავის საბეითლო ინსტიტუტში. აქ იგი, მიუხედავად მატერიალური გაჭირვებისა, წარჩინებით სწავლობს, უახლოვდება ვარშავის მოწინავე ინტელიგენციას, სწავლობს პოლონურ ენას, აქტიურ მონაწილეობას ღებულობს ქართველ სტუდენტთა სათვისტომოს დაარსებაში და „საქართველოს განთავისუფლების ლიგის“ შექმნაში. ამის გამო მეფის პოლიცია შიოს ეპატიმრებს, მალე მას ინსტიტუტიდანაც რიცხავენ, როგორც არაკეთილსაიმედო სტუდენტს.

პატიმრობის შემდეგ შიო ახერხებს ინსტიტუტში თავის აღდგენას და 1895 წელს ვარშავის საბეითლო ინსტიტუტს ამთავრებს.

როგორც აღვნიშნეთ, შიო არაგვისპირელმა მოთხრობა-ნოველების წერა ჯერ კიდევ სემინარიაში სწავლის დროს დაიწყო — 1889 წელს დაწერა — „ესაა ჩვენი ცხოვრება!..“, რომელშიც ცოცხალი, მეტყველი სურათებით არის გადმოცემული გლეხკაცის უკიდურესი გაჭირვება, აბუჩად აგდება, მეფის მოხელეებისაგან შევიწროება და ცემა-ტყეპა.

ვარშავაში ყოფნის დროს შიო არაგვისპირელი ზედიზედ აქვეყნებდა შესანიშნავ ნოველებსა და ესკიზებს, რომლებიც ძირითადად მშრომელი ადამიანების დუხჭირ ცხოვრებასა და ტანჯვა-წამებას ეხება: „ადე, ჩამოვადა!..“, „შემო შვინდავ!“, „ჩემი ბრალი არ არის, ღმერთო!..“, „მიწაა!“, „მამას მიწა მივაყალეთ!..“, „და-ძმა“, „ეჭ, ჭანდაბას ჩემი თავი და ტანი!..“ და სხვ.

ვარშავაში ყოფნამ შიო არაგვისპირელს უფრო გაუფართოვა შემოქმედებითი აზროვნება, რაც მკაფიოდ გამოვლინდა მის ნოველებში: „ჩემი სამშობლო — ჩემი გულია“, „იუდა“, ისტორიულ ლეგენდაში — „შიო თავადი“ და სხვ.

შიო არაგვისპირელის თხზულებები შესულია ქართული ლიტერატურის ოქროს ფონდში.

ქართველი ხალხი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს თავისი საამაყო მწერლის, შესანიშნავი ნოველისტის შიო არაგვისპირელის დაბადების 100 წლისთავს.

დ. უგულავა,
საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმის უფროსი მეცნიერი თანამშრომელი.

„სამშობლოს ხმის“ ინტერვიუ

ნახევარსაუკუნოვანი გზა



ფოტოზე: თბილისის კონსერვატორიის შენობა.

თბილისის ვანო სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორიას 50 წელი შეუსრულდა. სასახელო გზა განვლო რესპუბლიკის მუსიკალური კადრების ამ სამჭედლომ. მან აღზარდა მრავალი კომპოზიტორი, მუსიკის მცოდნე, სხვადასხვა პროფილის შემსრულებელი. ყველა მათ შეაქვთ ხალხში თავიანთი ცოდნა, თავიანთი შემოქმედება. კონსერვატორია ამაყობს თავისი კურსდამთავრებულებით, საერთაშორისო და სრულიად საკავშირო კონკურსების ლაურეატებით.

გაზეთ „სამშობლოს ხმის“ კორესპონდენტმა სთხოვა თბილისის კონსერვატორიის რექტორს, საქართველოს სსრ სახალხო არტისტს ხ. ცინცაძეს ეამბნა უმაღლესი სასწავლებლის ცხოვრების ამ ღირსშესანიშნავი თარიღის შესახებ.

— მოწინავე ქართველი ინტელიგენციის ინიციატივით, რომელიც იყრდნობოდა პროგრესული რუსული მუსიკალური კულტურის რეალისტურ და დემოკრატიულ ტრადიციებს, — თქვა მან, — 1917 წელს თბილისში დაარსდა კონსერვატორია. საქართველოში პროფესიული მუსიკალური განათლების დაწყება დაკავშირებულია ხ. სარაჯიშვილისა და ა. მიზანდარის სახელთან. მუსიკალური განათლების განვითარებაში დიდი როლი შეასრულეს რუსული მუსიკალური კულტურის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა — მ. ბალაკირევმა, ნ. რიმსკი-კორსაკოვმა, ა. რუბინშტეინმა, პ. ჩაიკოვსკიმ, ს. ტანეევმა, ს. რახმანინოვმა. ს. რახმანინოვის მიერ ნაჩუქარი როიალი დღესაც დგას კონსერვატორიის ერთ-ერთ აუდიტორიაში, და სტუდენტთა ხელი მოწიწებით ეხება ამ რელიქვიას. ნაყოფიერი იყო ცნობილი მუსიკოსების ი. იოსელიანი-ივანოვის, ნ. ჩერეპნინისა და სხვათა პედაგოგიური და საშემსრულებლო მოღვაწეობა თბილისის კონსერვატორიაში. წამყვან პედაგოგთა შორის იყვნენ ა. თოლაშვილი, მ. გაბაშვილი, ი. სარაჯიშვილი, ზ. ფალიაშვილი, ა. ვირსალაძე.

თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელმწიფო კონსერვატორია რესპუბლიკის ერთადერთი მუსიკალური უმაღლესი სასწავლებელია. აქ სწავლობს აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკებიდან, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქიდან, საქართველოს კუთხიდან ჩამოსული ახალგაზრდობა, სტუდენტები მოძმე რესპუბლიკებიდან.

ამჟამად კონსერვატორიაში 16 კათედრაა. კონსერვატორიის თანაქმის მთელი პედაგოგიური შემადგენლობა დაკომპლექტებულია მისი აღზრდილებით, რომელთა შორის არიან მეცნიერებათა დოქტორები, სსრ კავშირისა და საქართველოს სახალხო არტისტები, სახელმწიფო პრემიათა ლაურეატები.

ამ სასწავლებელში მიიღეს მუსიკალური განათლება ვოკალური ხელოვნების ნიჭიერმა ოსტატებმა — ს. ინანიშვილმა, ნ. ჭუმსიაშვილმა, დ. ბადრიძემ, დ. გამრეკელმა, პ. ჭიჭინაძვილმა, ზ. ანჯაფარიძემ, ნ. ანდღულაძემ, ვიოლინოზრდა მომღერლებმა ზ. სოტკილავამ, მ. ქავთარაძვილმა, ცნობილმა კომპოზიტორებმა ი. ტუსკიამ, ა. ბალანჩივაძემ, ა. მაჭავარიანმა, ო. თაქთაქიშვილმა. შემსრულებლებმა, რომლებმაც ხელი შეიწყვეს ქართული მუსიკალური კულტურის ზრდას.

თბილისის კონსერვატორიის ბევრი აღზრდილი გამოვიდა ფართო პროფესიულ სარბიელზე, სახელი მოიხვეჭა პიანისტთა, მეჩიოლინეთა, ვიოლონჩელისტთა, მომღერალთა სრულიად საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში. მათ შორის არიან პიანისტები — რ. კერერი, ე. ვირსალაძე, დ. ბაშკიროვი, ლ. ვლასენკო, ა. ნიკარაძე, მ. ხვიტია, მომღერლები ზ. ანჯაფარიძე, ნ. ანდღულაძე, მ. ამირანაშვილი, ლ. ჭყონია, მ. დონაძე, შ. კიკნაძე, გ. სელეზნიოვი, მეჩიოლინე მ. იაშვილი, ვიოლონჩელისტები გ. ცომაია, თ. ჭაბარაშვილი, ა. ფირკელმანი, საქართველოს სახელმწიფო კვარტეტი ბ. ჭიაურელის, გ. ხატიაშვილის, ა. ბეგალიშვილისა და გ. ბარნაბიშვილის შემადგენლობით და მრავალი სხვა.

შეიდა რა მეორე ორმოცდაათ წელიწადში, თქვა საუბრის დასასრულს ს. ცინცაძემ, თბილისის კონსერვატორია მუდამ იხელმძღვანელებს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანით — შეიტანოს თავისი ხელოვნება მასებში.

ამერიკაში შეკრებილი ქართული სიმღერები

(დასასრული)

„ივერიაში“ (1890, № 121), „კოლხიდაში“ (1911, № 1911) და სხვ.

11. **„წერეთელმა დაიბარა ოსმალო და თათრის ჯარი“** აგრეთვე ისტორიულთა ჟანრს მიეკუთვნება და შინა სამთავროთა დამღუპველ ომებს ასახავს. ლექსი მცირეოდენი განსხვავებით ეთმთვეება 1894 წელს „მასალათა კრებულში“ დაბეჭდილს. ახალ ჩანაწერში ზოგი ადგილი გადასხვაერებულია, მაგ., „სერესჭელი“ შეცვლილია „სერესკარით“, „შემოიმატა ჯარი“ — „შემოიხვია ჯარი“ და სხვ. პ. უმიკაშვილის არქივშია 1875 და 1888 წ.წ. ზემო რაჭაში მოპოვებული ვარიანტები. ცნობილია ადრეთვე მესხური ჩანაწერი (ხალხური სიტყვიერება, ე. თაყაიშვილის რედაქციით).

12. **„სონტარული“** იმ ხასიათის ნაწარმოებია, როგორიც „ლიახვმა თქვა ავდიდდები“ ან „ქვედრულა მოდიდებულა“. აქვე მოვიყვანთ ამ ახალ ვარიანტს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება მინდელისეული ჩანაწერისაგან, სოფ. სორის აღწერასთან ერთად რომ გამოაქვეყნა 1894 წელს („სბორნიკ მატერიალოვ“):

სონტარულს შემოუთვლია:
მოვალ და მოველალები,
არცა მჭირდება ლაგამი,
არცა ფეხებზე ნალები.
წისქვილი ბევრი წავიღე,
ზედ დაჭედილი ქარები.
მონასტერს მივუახლოვდი —
ზედ გადავხვიე მკლავები.
კარგი ჯვარი ქე მივართვი,
მენახა მათი ქალები:
ჭიშკარზე რომ დამინახეს
ფიცხლად მოკეტეს კარები.
ჩაჩიბიძის ვენახს ვეცი,
მოვღლიზე მისი ვაზები,
რიონო, ჩამომეცალე,
სკოდორას მივეჩქარები.

ეს ლექსი დღესაც პოპულარულია რაჭაში. პედაგოგმა გალინა რეხვიაშვილმა (სოფ. ჭორა) მდინარის დახასიათებასთან ერთად მის მიერ ჩაწერილი ვარიანტებიც მოგვაწოდა 1967 წელს. ერთგან ნათქვამია: „სამტარულს დაუქადნია, მოვალ და მოველალები; მინდლებს წისქვილი წავართვი, გლახუას ჭიშკრის კარები“ (მთქმელი დომნა მათისაშვილი). „სონტარულიც“ გადასხვაფერებული სახელია, ძველად „სამტარულიც“ შეიძლება რქმეოდა, რადგან მას სამი წყარო აძლევს სათავეს (სხეფურის, ჭვებარის და ჯუბრისკოდისა ურავის მახლობლად). გეოგრაფ დ. წერეთლის ცნობით, ეს მთის პატარა მდინარე დიდძალი ნალექების გამოზიდვით ხასიათდება, და სოფელ სორთან ერთვის რიონს. აღწერილი შემთხვევა დაახლოებით ასიოდე წლის ამბავია. ბაგრატ სულაძე (60 წლის) და ილიკო ერაძე (87 წლის) სონტარულს ახლაც „სანტარულს“ ანუ „სამტარულს“ უწოდებენ (სორი).

13. **„ქვედრულა“** დიდად არ განსხვავდება პ. უმიკაშვილის კოლექციაში დაცული ბოჭორიშვილისეული (1894 წლის) რაჭული ჩანაწერისაგან. მას ფერხულშიც მღერიან.

14. **„ოსების ლაშქრობა“** (დიგორსა დასხდნენ ვახირნი რჩეული ბადილუანი), მოდერნული სათაურის ვრცელი ლექსი ბევრჯელ ყოფილა დაბეჭდილი 1890 წლიდან მოყოლებული. ლენგისეული ჩანაწერი მცირე განსხვავებით 1894 წელს გამოქვეყნებულ ტექსტს მისდევს. შემკრებისათვის ცნობილია ლექსის ნაირსახეობანი. ერთი ადგილის გამო („გეჩამოს ქერის ქარჯინა“) იგი შენიშნავს: „ზოგიერთი ვარიანტით — „შებერებოდე შენს ციხეს“.

15. **„მასპინძლის მარანი“** სუფრული სახით სამღერი ლექსია. „ორიოდელია, ჩვენი მასპინძლის მარანში სულ ლხინია და თამაში“, დღესაც ხშირად ისმის.

16. **„აღდგომის სიმღერა“** ქრისტიანული საწესჩვეულებო ნაწარმოებია. ერთი სტროფის გარდა („გუშინ ბიჭმა... გული დამიდარდიანა“) მიყვება 1894 წელს მინდელისეულ ტექსტს. ზოგი ადგილი მოდერნიზებულია. მაგალითად, დაბეჭდილში წერია: „ახ ურია, ურია, ეს კაცი სადაურია“, ხელნაწერში კი: „ოი, ნეტავ ვიცოდე, ეს კაცი სადაურია“. ანალოგიური ტექსტი გვხვდება ექვ. თაყაიშვილის რედაქციით გამოსულ კრებულშიც.

როგორც ვხედავთ, პროფ. დ. ლენგის შეკრებილი „რაჭული სიმღერები“ მეტად საინტერესოა და მასში წარმოდგენილი ლექსები ღირსეულ ადგილს დაიჭერს ქართული ხალხური პოეზიის სრულ კრებულში.

დასასრულ უნდა ითქვას, რომ სახელოვან ქართველოლოგს დიდი შრომა გაუწევია ლექსების დასაბეჭდად მომზადებისათვის. 8 საკუთარი ხელით გადაუთეთრებია, დაურთავს ზუსტი პწკარედი, დანაჩენებიც რემინგტონზე გადაუბეჭდავს. გაუგებარი და ბუნდოვანი ადგილების თარგმნისას ზოგჯერ ორ–სამ წაკითხვას იძლევა. ჟოველივე ადასტურებს, რომ პროფ. დ. ლენგი ფლობს არა მარტო ძველი მწიგნობრული ქართულის (მან ბალავარის სიბრძნე თარგმნა ინგლისურ ენაზე), არამედ თავისუფლად ერკვევა თანამედროვე ლიტერატურულ და ხალხურ მეტყველებაში. თქმა არ უნდა, ეს მტკიცე საწინდარია მისი ფართოდ ცნობილი მეცნიერული წარმატებებისა ქართველოლოგიის დარგში.

მიხ. ჩიქოვანი,
პროფესორი.

დიდი ახალმოსახლეობა

რუსთავის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის რ. ჯაფარიძის კაბინეტში კიდია ქალაქის განაშენიანების რუკა. იგი დაყოფილია კვადრატებად, რომლებითაც აღნიშნულია სახლები, უბნები, მიკრორაიონები. წლის დამდეგს რუკაზე სჭარბობდა ლურჯი ფერი — ის, რაც უნდა გაკეთებულიყო. ახლა თითქმის მთელი რუკა შეღებილია ყავისფრად. ამით აღნიშნულია უკვე გაკეთებული.

— მომავალი წლიდან, — ამბობს რ. ჯაფარიძე, — აღარ ავაშენებთ ხუთსართულიან სახლებს. გადაწყდა რუსთავი სიმაღლეში გავზარდოთ. ეს უფრო ხელსაყრელი და სწრაფია. უკვე დაიწყო ცხრასართულიანი სახლის მშენებლობა. მალე დაიწყება თერთმეტსართულიანი და თოთხმეტსართულიანი სახლების მშენებლობა.

ახალ სახლებში ბინები კომფორტულია — ორი-ოთხი ოთახი, სამზარეულო, გაზი, აბაზანა, ორთქლით გათბობა. სახლებს დიდი ფანჯრები აქვთ, ხოლო ლოჯვარდისფრად შეღებილი გარეთა კედლები ჰაეროვანი გეჩვენებათ.

დაფერფლილი დიდება



ნანობაშვილს ბედი არ სწყალობდა. მოსკოვშიც ვერ მოიკიდა ფეხი. ერთი უცნაური შემთხვევა გახდა ამის მიზეზი: 1916 წელს მოსკოვის საოპერო თეატრში ალფრედის („ტრავიატა“) როლის შესრულებისას ჩამქრალი სანთლის ბოლი უნებურად პირში მოხვდა და ხმამ ხრინწი გაიღო. გულგატეხილმა ნანობაშვილმა პეტერბურგს მიაშურა, მაგრამ უშედეგოდ, და ისევ პარიზში დაბრუნდა.

1920 წელს კვლავ ჩამოვიდა თბილისში, საოპერო თეატრში იმღერა ვერტერი და თანამემამულენი მოხიბლა. ვახტანგ გარიკი გაზეთ „საქართველოში“ წერდა: „საუცხოო შთაბეჭდილება დატოვა მ. ნანობაშვილის სამღერამ მსმენელებზე. ნანობაშვილი შესამჩნევი მომღერალი — დიდი ხელოვანი ყოფილა. მისი ხმა სასიამოვნო ტემბრისაა. შესანიშნავია მისი დიაპაზონი და საშუალო რეგისტრები და ნამდვილ ვირტუოზობას მომღერალი ამ ფარგლებში იჩენს. აქ ის დიდი ვირტუოზია. ელასტიურია ყოველი მისი ფრაზა, დიდი ნიუანსით გადმოცემული. მ. ნანობაშვილის სიმღერაში არ არის იტალიური პათოსი, მაგრამ, სამაგიეროდ, მასში არის ფრანგული ექსპრესია, ტემპერამენტი. დიდი ინტელიგენტი უნდა იყოს კაცი, რომ ასე კეთილშობილურად მღეროდეს. მისი გამოსვლა ჩვენს სცენაზე ძვირფასი და საყურადღებო უნდა იყოს. ახალგაზრდა მომღერლებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ მ. ნანობაშვილის სიმღერას. ისინი ბევრ რამეს ისწავლიან ამ სამაგალითო სკოლის მომღერლისაგან“.

მეორე რეცენზენტი „ტენორის“ ფსევდონიმით მკითხველს მოუთხრობდა: „ვერტერი მოსაწყენი ოპერაა: მსახიობი მეტად ნიჭიერი უნდა იყოს, რომ იგი გააცოცხლოს. მომღერალი მომხიბლავი ხმის პატრონი უნდა იყოს, რომ მსმენელს არ აგრძნობინოს ის ნაკლი, რომელიც ამ ოპერას აქვს. ბ. ნანობაშვილი სწორედ ასეთი მომხიბლავი იყო. ნანობაშვილს ფრანგული სკოლა აქვს გავლილი, რომელიც ჩვენი საზოგადოებისათვის უცხოა.

ნანობაშვილი, როგორც ძველი მომღერალი, ჯერჯერობით ვერ დაშორებია ამ სკოლას. საერთოდ, უნდა ვთქვათ, რომ ნანობაშვილი ინტელიგენტი მომღერალია. ასეთი მომღერლები ჩვენში ნაკლებად არიან“.

მიშელ დარიალმა თბილისში იმღერა აგრეთვე „რახლში“, „მანონში“, „ტოსკაში“, „ფაუსტში“, „კარმენში“ და „ჰუგენოტებში“. ყველა პარტია საუკეთესოდ შეასრულა, რომ იტყვიან, სიმღერის კლასი აჩვენა და დიდი ოვაციები დაიმსახურა. „ტენორის“ რეცენზიაში ვკითხულობთ: „ნანობაშვილის რაული „ჰუგენოტებში“ რაღაც არაჩვეულებრივი იყო. ასეთი რაული დიდი ხანია არ უნახავს თბილისს. ეს ოპერა ისეთი ძნელი სასიმღერო და სათამაშოა, რომ მომეტებული ნაწილი მსახიობებისა ან სტოვებს, ან კრინით ამბობს იმ ადგილებს ოპერისას, სადაც საჭიროა ხმის სიმაღლე და სიძლიერე. ნანობაშვილმა უმთავრესი ყურადღება ამ ადგილებს მიაქცია: მან ისეთი ძლიერი ხმა გამოიჩინა, რომელსაც არ ელოდა და რომელმაც განცვიფრებაში მოიყვანა დამსწრე საზოგადოება. ყოველი მისი არია ალტაცებას იწვევდა და საზოგადოებაც ტაშით აჯილდოებდა ღირსეულ მომღერალს. საჭიროა ჩვენმა ახალგაზრდა საოპერო ძალებმა დაკვირვებით ადევნონ თვალყური ყოველს მის მოქმედება-სიმღერას, როგორც ფრიად განსწავლულ-გამოცდილ მსახიობს“.

კალამს არ ძალუძს ამაზე მეტად ხოტბა შეასხას დარიალის ვოკალურ ხელოვნებას. უეჭველია, რომ მისი ხმა, სიმღერა და არტისტული ნიჭი უფრო მეტი ჭეშმარიტ-დიდების ღირსი იყო, მაგრამ „ტენორს“, როგორც ეტყობა, მეტის თქმის საშუალება არ ჰქონდა.

დავით აკოფაშვილთან და სოფიო აბაშიძესთან ერთად დარიალი საკონცერტოდ დასავლეთ საქართველოში გაემგზავრა, 1920 წლის 15 ივნისს კი თბილისის საოპერო თეატრში ბენეფისი გადაუხადეს. ქართული პრესა ფართოდ აშუქებდა მის გაძოსვლებს, ბეჭდავდა პორტრეტებსა და რეცენზიებს, ხოლო „თეატრმა და ცხოვრებამ“ მ. ნანობაშვილისადმი მიძღვნილი თამარ თავაძის მეგობრული შარუიც კი გამოაქვეყნა. შემოდგომაზე დედულ-მამული მოინახულა კახეთში და მერე ალაზნის ველზე მერცხლის ბუდესავით წამოჭიმულ თელავში დაისვენა.

იმედის მცირე ნატამალი კიდევ ჰქონდა დარჩენილი, რომ მეფის რუსეთის საქართველოში თუ ვერ დამკვიდრდა, „თავისუფალ, დამოუკიდებელ“ საქართველოში მაინც მისცემდნენ ადგილს, შეიკედლებდნენ და გამოიყენებდნენ. მაგრამ მაშინ ეროვნული კადრებისათვის არავინ ფიქრობდა, თავს არ იწუხებდა და აი 1920 წლის დეკემბერში მ. დარიალი სამუდამოდ გამოემშვიდობა სამშობლოს და საფრანგეთში გაემგზავრა. 1919 წელს პარიზში მყოფმა საქართველოს დელეგაციის წევრებმა ურჩიეს სამშობლოში დაბრუნება. როგორც ზევით დავინახეთ, მან მართლაც მიატოვა პარიზი, ჩამოვიდა თბილისში, გამართა კონცერტები, გამოვიდა ოპერებში, მაგრამ დირექციამ პირობა არ შეასრულა, თეატრი მოსკოვის სამხატვრო თეატრს გადასცეს. მისი გასტროლები კი შეწუვეტეს. სეზონის დასაწყისშიც ოპერის გამგეობამ დასში არ მიიწვია, ხელი არ გაუმართეს და რომ პარიზში მცხოვრები მეუღლე და ქალ-ვაჟი შეშილით არ დახოცოდა, მენშევიკური

* დასასრული. დასაწყისი იხ. „სამშობლოს ხმა“ № 23, 1967 წ.

საქართველო მიატოვა და უკან გაბრუნდა.

გაზეთ „სახალხო საქმის“ 1921 წლის 19 იანვრის ნომერში ვკითხულობთ: „საქართველოს საოპერო სცენამ დაჰკარგა ერთ-ერთი დიდი კულტურული, განვითარებული ხელოვანი და ევროპული სკოლის არტისტი. განა ვინმეს დაავიწყდება მის მიერ განსახიერებული მრავალტანჯული ვერტერი, შმაგი დონ-ხოზე, ებრაელი ელიაზარი და მრავალი სხვა... დამახასიათებელი ტენორი, იშვიათად დაყენებული ხმა, მკაფიო დიქცია და წმინდა ფრანგული აქცენტი! აი როგორ ვაფასებთ „თავისუფალ საქართველოში“ ხელოვანთ. ისიც იმ დროს, როდესაც ტფილისს არ ახსოვს ამაზე სუსტი ოპერა. ან სად არიან ჩვენი კოლორატურული სოპრანო ე. თარხნიშვილისა, ნიჭიერი ლოტბარი ი. ფალიაშვილი, პრიმაბალერინა თ. გამსახურდია და სხვანი. ან ვინ იღებს ზომებს მათ სამშობლოში დასაბრუნებლად? სირცხვილია, სირცხვილი“.

1921 წლის პირველ ნახევარში მ. დარიალი ქ. ბატუმში, ხოლო ნოემბერ-დეკემბერში ქ. ბარსელონაში იყო საგასტროლოდ. 1924 წელს „გრანდ-ოპერის“ არტისტი მადრიდში მიიწვიეს. ერთი წლის შემდეგ ეს ლირიკულ-დრამატული ტენორი პარიზის „კომედია ფრანსეზში“ მღეროდა და დიდი მოწონებაც ჰქონდა. ქართველმა მომღერალმა დიდხანს შეინარჩუნა თავისი მშვენიერი ტენორი. უზომო ექსპლოატაციის მიუხედავად ხმას მისთვის არასდროს არ უღალატნია, ყოველთვის ჩინებული ტემბრითა და სიძლიერით მღეროდა.

აღსანიშნავია, რომ როგორც სხვები, ისე მ. დარიალიც დაინტერესებული იყო ქართული მუსიკითა და მისი პოპულარიზაციით უცხოეთში. ამიტომ თავის ძმას ირაკლის, რომელიც აგრეთვე დაჯილდოებული იყო მუსიკალური ნიჭით, სთხოვდა ქართული მუსიკის ნოტებს, რომლებიც გადაუგზავნეს კიდეც.

მუდმივი სამუშაოს უქონლობამ, უგზოუკვლოდ ხეტიალმა, ანტრეპრენიორთა ექსპლოატაციამ და საარსებო საშუალებებზე მუდამჟამს ზრუნვამ გატეხეს მომღერლის ნებისყოფა. მძიმე იყო პირველი მსოფლიო ომისა და მისი მომდევნო პერიოდი, როგორც შემოქმედებით, ისე საყოფაცხოვრებო სარბიელზე. მეორე მსოფლიო ომმა და მომდევნო წლებმა კი სამუდამოდ მოინელეს დაუფასებელი მომღერალი.

მ. ი. ნანობაშვილს მცირე ადგილი დავუთმეთ ბროშურაში „ხელოვნების ქართველი მოღვაწენი უცხოეთში“ და მოკლედ აღვწერეთ მისი ცხოვრება და მოღვაწეობა. ბროშურა პარიზში მოუღია დარიალის ქალიშვილს, რომელმაც 1961 წლის 6 მარტის წერილით გულწრფელად შეგვატყობინა: „ჩემი მამის, მიხ. ნანობაშვილის ბიოგრაფიის შემცველი პატარა წიგნი გადმომცეს და მე თქვენი უსაზღვროდ მადლობელი ვარ. ძლიერ მესიამოვნა, რომ მამაჩემზე ხსოვნა საქართველოში დაუვიწყარია. სამწუხაროდ, არ ვიცი ქართული, მაგრამ თქვენი წიგნის ჩემთვის საინტერესო ნაწილი გადამითარგმნეს... მადლობასთან ერთად მიიღეთ ჩემი საუკეთესო სურვილები“.

ამ ბარათის მიღების შემდეგ ბევრმა დრომ განვლო. სხვა გზითაც ვცადეთ მასალების მოპოვება ნანობაშვილზე და კვლავ „არსით ხმა, არსით ძახილი“. დავუშვათ, წერილის ავტორი გულქვაა და მშობლის სახელის უკვდავყოფას ზერელედ უცქერს. თქვენ, ჩვენებურნო? თქვენ ხომ მუდამჟამს გაბორგებდათ მშობლიური ხალხისთვის გარჯა! განა თვითონ არ გაინტერესებთ, ღირს თუ არა ამდენი წერა უჩინო კაცზე? იქნებ ვიგონებთ, ოცნებით ვთხზავთ ამ ჩვენს სტრიქონებს?! ჩაფიქრდით! რას იტყვით თქვენ, ნანობაანთ შინაურებო?, რას აპირებს ამაგდარი მამულიშვილის ქალიშვილი თამარ ალგანდი... მხოლოდ სამშობლომ უნდა იზრუნოს უცხოეთში ღვაწლმოსილი მოჭირნახულის ცხოვრების და არტისტული დამსახურების უკვდავსაყოფად?

თუ პრესის ანალიტიკური ბიბლიოგრაფია არსად არის, ნუთუ ძნელია რამდენიმე დასტა ჟურნალ-გაზეთის გადაჩხრეკა, ქ-ნ თამართან დაცულ არქივის თუნდ ნაწილობრივ გამოყენება, რომ მოკლე წერილი გამოქვეყნოთ? დედა-სამშობლო კი გულით ზრუნავდა და კვლავაც იზრუნებს ბედუკუღმართ, უცხოობაში განსვენებულ ღირსეულ შვილთა სახელების უკვდავსაყოფად.

ჩვენ არ ვიცით სად და როდის გარდაიცვალა დამაშვრალი ნანობაშვილი, რას წერდნენ მასზე მადლიერი თუ უმადური მელომანები, როგორია იაკობ ნიკოლაძის ნახელავი მისი ბიუსტი, ჰგვანან ერთმანეთს აქაური და მანდაური რეცენზიები.

ვიმედოვნებთ მიგვიხვდებით გულისთქმას და არ დატოვებთ ჩვენ თხოვნას ხმად მღაღადებლისა, უდაბნოსა შინა.


ა. ამირანიძე.

* * *

სურათებზე: მიშელ დარიალი (მე-6 გვ.); მ. დარიალი დონ-ხოზეს (მარცხნივ) და ფაუსტის როლში.







ესაუბრის ღიმილი

• გვთავაზობს გიგლა ფირცხალავა •





— მოხერხებული დალაქი.



— ეს მამალი უნდა დავკლა, ხუთი წუთით წინ მიდის.



— მოდას შეეგუა.

[-10]

სადა ხართ, ჩემი სოფლიდან აფრენილო არწივებო?

სოფლის შუაგულში, კულტურის სახლის წინ, ვეება ბაღი გააშენეს ჩემმა სოფლელებმა. ათობით მსხლის, ვაშლის, ქლიავის ხე დარგეს და „შინმოუსვლელთა ბაღი“ დაარქვეს. ყოველ ხეს ფირფიტა შეაბეს, ზოგს ევგენი უწოდეს, ზოგს არტემი, სხვას მიხეილი, პროკოფი.

ჰოდა, ისევ სუნთქავენ ჩემს სოფელში ხეცაცები, ისევ ურხევთ აქოჩრილ ტოტებს კუპრიკოდიდან მონაბერი ზენაქარი.

ერთად წავიდნენ ფრონტზე ძმები აკაკი და ბიკენტი კერვალიშვილები. შინ გამარჯვების რწმენა დატოვეს, აკვანში ჩაკრულ ჩვილებს სიყვარული დაუტოვეს. გაჰყვნენ ომის გრძელ გზას და აღარ დაბრუნებულან. გაიზარდნენ გოგონები; ნაილე ინჟინერია, ნაიკო პედაგოგი. თმაში თეთრი გაუმრავლდათ გუგულისა და ტოტონას, მაინც იმედით ცოცხლობენ.

ამ ათიოდე წლის წინ უცნაურმა ამბავმა მოიარა სოფელი: ვიღაცას ეთქვა, ხიდიკარში ჩამოსულა ქართველი ემიგრანტი, კაკოსა და ბიკენტის ამბავი ჩამოუტანიაო. აფორიაქდა მაშინ 90 წელს მიტანებული ფატია ბებია, ვინღა არ გაგზავნა ხიდიკარში ამბის გასაგებად, ვერ იქნა და ვერ დაადგინა ჭეშმარიტება, გული მაინც ეუბნებოდა ამბის სიმართლეს და ასე სწამთ მათ გოგონებსაც ნაილესა და ნაიკოს, ასე სჯერათ გუგულისა და ტოტონას.

იაკინთემ და დათიკომაც „ულალატეს“ მამას, ურო სოფლის სამჭედლოში დატოვეს და შაშხანას მოკიდეს ხელი. მალე შეწყდა სამკუთხა ბარათები და ახლა სინანულით იგონებენ სოფლად პაპა იაკობას შვილებს, საოცრად მამაც და კუნძაგარ ჭაბუკ ძმებს დავითს და იაკინთე კერვალიშვილებს.

ნეტა სადა ხართ ახლა, აბესალომ, ერმილე, ევგენი, ასლან, დავით, იროდიონ, ირაკლი ბერიშვილებო, გაიოზ, შამადავლე, ინდიკო, სოგრატ ჭუმბაშვილებო, აკაკი, პარმენ, ალექსანდრე როსნაძეებო?

ან შენ, კაკო იაშვილო! უცნაურო ჭაბუკო, მეოცნებევ. შენი მოტოშეფრთი მტრის ზურგში მოქცეულა ცხრაას ორმოცდა ერთს. ვერ გაგიჩენ ვერავიათ მოჭარბებული მტრის ალყა. უკან ვერავინ დაბრუნდაო, თქვეს. იქნებ სადმე გაუსხლტით მტრის ტყვეას, იქნებ მამულ-დედულის სიყვარულით ვერ სძლებთ სხვის მიწაზე, იქნებ ყურში მოგძახით თქვენი პატარების ხმა. რომ იცოდეთ რამხელა ვაჟკაცები და ქალიშვილები არიან ახლა — შვილებიც, ზოგიც შვილიშვილების პატრონი. სიცოცხლე დადის ჩემი სოფლის მიწაზე. შრიალებს ბაღი, რომელსაც შინმოუსვლელთა ბაღს ეძახიან.

თქვენი ხელიც ელის იმ ხეებს, ახლა რომ თავაქოჩრილნი შრიალებენ, ელის თქვენი კუთმოუღლელი მარჯვენა. გელოდებათ თქვენი მშობლიური მიწა, ოჯახი, სახლ-კარი, გაგვეცით ხმა!

თამაზ კერპალიშვილი.
სოფელი სორი.

მეცნიერთა ლაბორატორიებში

ტვინის ნეირონების ახალი მოდელი

კიბერნეტიკის განვითარება ახალ პერსპექტივებს უსახავს ადამიანის თავის ტვინის მოქმედების შესწავლას. რეალური ხდება მისი მუშაობის მოდელირების შესაძლებლობა.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კიბერნეტიკის ინსტიტუტში შეიმუშავეს ნერვული უჯრედების ნეირონისა და იმ ქსელების ახალი მათემატიკური მოდელი, რომლებიც თავის ტვინს შეადგენენ. იგი საშუალებას იძლევა ყველაზე სრულად, რეალობასთან მაქსიმალური მიახლოებით, მათემატიკურ ენაზე აღვწეროთ და ამით უფრო ღრმად ჩავწვდეთ ცენტრალური ნერვული სისტემის მრავალფეროვან მოქმედებას.

ფორმალური ნეირონების მოდელები, რომლებსაც კიბერნეტიკაში იყენებენ ნერვული უჯრედების ფუნქციების აღწერისათვის, ვერ ასახავენ ტვინის მუშაობის მთელ სირთულეს. მათ შეუძლიათ თვალსაჩინოდ გააანალიზონ ნეირონების მოქმედება სულ დიდი ექვსი შესასვლელით (გზები, რომლებითაც ნერვული უჯრედი იღებს სიგნალებს სხვა უჯრედებისაგან). მაგრამ ტვინის მუშაობაში მონაწილეობს მილიარდობით ნერვული უჯრედი, რომელთა შორის მრავალი ურთულესი კავშირია.

ახლა მათემატიკურად აღწერენ ნებისმიერი სტრუქტურისა და სირთულის ნეირონებსა და ქსელებს, რომლებსაც პრაქტიკულად გარუსაზღვრელი რაოდენობით აქვთ შესასვლელები. ამასთან შეიძლება გავართულოთ მოდელი მასში უკუკავშირების შეყვანით, რომლებიც წარმოიშვება თავის ტვინში ნერვული უჯრედების მოქმედების დროს.

— ახალ მოდელს საფუძვლად უდევს ინსტიტუტში შემუშავებული მათემატიკური მეთოდი, რომელიც შესაძლებელს ხდის გავითვალისწინოთ ნეირონების სხვადასხვა საქციელი შესასვლელების მდგომარეობის მიხედვით, — აცნობა ჩვენს კორესპონდენტს კიბერნეტიკის ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ვ. ჭავჭანიძემ. — ახალი მეთოდის გამოყენებით შეიძლება ცნობილი ფიზიოლოგიური პირობითი რეფლექსების მოდელირება. ინსტიტუტში შემუშავებულია ალგორითმი და პროგრამა ნებისმიერი სირთულის ნეირონული ქსელების გასაანგარიშებლად გამოსათვლელ მანქანებზე.

დაგეძებენ, მოგელიან



ანდრო ანდრია) ესტატეს-ძე მეტრეველს, დაბადებულს 1919 წელს ცხინვალის რაიონის სოფელ ძარწემში, ეძებს აღმზრდელი ბიძა — გიორგი ანდრიას-ძე მეტრეველი.

●

ძმებს **გაიოზ** (დაბადებულს 1921 წელს) და **ვახტანგ** (დაბადებულს 1925 წელს) **ბესარიონის-ძე მასხულიებს** (ლანჩხუთის რაიონის სოფელ მამათის ყოფილი მცხოვრებნი) ეძებს და — ციალა ბესარიონის ასული მასხულია.



●

გერმოგენ მინას-ძე კოგახიძეს, დაბადებულს 1919 წელს ამბროლაურის რაიონის სოფელ ნიკორწმინდაში, ეძებს ძმა — სერგო მინას-ძე კოგახიძე.

●

რამან ნიკას-ძე მჭედლიშვილს, დაბადებულს 1920 წელს სილნალის რაიონის სოფელ მაღაროში, ეძებენ დედა — ნადო, და-ძმა — ქეთო და ავთანდილ მჭედლიშვილები.

●

გიორგი ავქსენტის-ძე კინწურაშვილს, დაბადებულს 1919 წელს ახაშის რაიონის სოფელ ქოლოგანში, ეძებს მამა — ავქსენტი ივანეს-ძე კინწურაშვილი.



●

ილია სოლომონის-ძე როსტიაშვილს, დაბადებულს 1917 წელს საბარეჯოში, ეძებს და — ეკატერინე სოლომონის ასული როსტიაშვილი.

●

დავით ნოეს-ძე დუნდუას, დაბადებულს 1922 წელს ქ. თბილისში, ეძებს დედა — თამარ დავითის ასული დუნდუა.

●

ზაქარია დავითის-ძე ოქროპირიძეს დაბადებულს ქ. თბილისში, ეძებს შვილი — გურამ ზაქარიას-ძე ოქროპირიძე.



●

ნიკო გიგის-ძე კევლიშვილს, დაბადებულს 1918 წელს საბარეჯოს რაიონის სოფელ ხაშმში, ეძებს ძმა — მიხეილ გიგოს-ძე კევლიშვილი.

●

ვახტანგ გიორგის-ძე კუხაროვს, დაბადებულს 1925 წელს ქ. თბილისში, ეძებენ დედა — თამარი, ძმა — ვალოდია კუხაროვები.

●

ალექსანდრე ერმალოზ-ძე შველიძეს, დაბადებულს 1907 წელს ზესტაფონის რაიონის სოფელ შროშაში, ეძებს შვილი — ამალია ალექსანდრეს ასული შველიძე.



●

ტიტე ესეს-ძე აფხაზავას, დაბადებულს 1905 წელს ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანში, ეძებენ შვილი — გურამ, ძმა — ილიკო აფხაზავები.

* * *

სურათებზე: ზემოდან ქვემოთ — ზ. ოქროპირიძე, ა. მეტრეველი, რ. მჭედლიშვილი, ვ. კუხაროვი, ტ. აფხაზავა.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე შუა ევროპის დროით: საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი, მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე — 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

საქართველოს სსრ

სარედაქციო კოლეგია

მისამართი:

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.